საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/6

ქ.თბილისი

„29" დეკემბერი 2016 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2015 წლის 18 მაისის №6/11 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2015 წლის 18 მაისის №6/11 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1.1. ბრძანების 3.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1. <u>აუდიოვიზუალური მედიის მომსახურებების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი:</u>

ა. კახი ბექაური - კომისიის წევრი (ჯგუფის ხელმძღვანელი);

ბ. თამარ ხუხუნაიშვილი - კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

გ. კონსტანტინე ქორიძე - კომისიის აპარატის მაუწყებლობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

დ. ირინე ვერძეული - კომისიის აპარატის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი".

1.2. ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ ბრძანების 1.1., 2.1. და 3.1 პუნქტებით შექმნილი სამუშაო ჯგუფების უფლებამოსილების ვადად განისაზღვროს 2016 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი";

2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისი საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;

4. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოთ კომისიის წევრებს (გიორგი ფრუიძე, კახი ბექაური).

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე